

შპს მოდელების სახლი მატერია
ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შპს მოდელების სახლი მატერია
 ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31
 დეკემბერს
 (ლარში)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ნაწილი	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ფულადი სახსრები.	14
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	14
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	14
7. ძირითადი საშუალებები.	15
8. მოკლევადიანი სესხები	15
9. სავაჭრო ვალდებულებები.	16
10. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	16
11. . კომერციული დანახარჯები	16
12. ადმინისტრაციული ხარჯები.	17
13. ფინანსური შემოსავალი.	17
14. ფინანსური დანახარჯები.	17
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	18
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	18

შპს მოდელის სახლი მატერია
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31
დეკემბერს
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019	01.01.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	24,684	164,811
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	691,261	1,326,024
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	2,536,291	2,600,917
სულ მიმდინარე აქტივები		3,252,236	4,091,752
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	3,106,395	3,571,931
არამატერიალური აქტივები		3,154	3,153
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,109,549	3,575,084
სულ აქტივები		6,361,785	7,666,836
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	8	1,843,029	776,590
სავაჭრო ვალდებულებები	9	610,500	1,628,323
გადასახდელი პროცენტი	0	67,840	323
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		3,822	164,018
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		6,710	48,608
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,531,901	2,617,862
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	8	3,827,752	3,870,783
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,827,752	3,870,783
სულ ვალდებულებები		6,359,653	6,488,645
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი		-	-
სააქციო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		132	1,176,191
სულ საკუთარი კაპიტალი		2,132	1,178,191
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,361,785	7,666,836

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- მირიან ქლიავა

მთ. ბუღალტერი ----- სოფო ჩიხლაძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მოდელის სახლი მატერია
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31
დეკემბერს
(ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2019
ამონაგები	10	2,209,685
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება		(862,641)
საერთო მოგება		1,347,045
კომერციული დანახარტები	11	(794)
ადმინისტრაციული ხარტები	12	(1,864,660)
სხვა ხარტები		-
დადებითი საკურსო სხვაობა		8,181
ფინანსური შემოსავალი	13	34,325
უარყოფითი საკურსო სხვაობა		(51,643)
ფინანსური დანახარტები	14	(648,512)
მოგება დაბეგვრამდე		(1,176,058)
მიმდინარე წლის მოგება		(1,176,058)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- მირიან ქოიავა

მთ. ბუღალტერი ----- სოფიკო ჩიხლაძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მოდელების სახლი მატერია
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31
დეკემბერს
(ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2019	2,000	1,176,191	-	1,178,191
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(1,176,058)	-	(1,176,058)
დივიდენდის განაწილება				-
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	2,000	133	-	2,133

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- მირიან ქოიავა

მთ. ბუღალტერი ----- სოფიკო ჩიხლაძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მოდელის სახლი მატერია
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31
დეკემბერს
(ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	1995547	8090992
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1819346	-5339899
გაცემული შრომის ანაზღაურება	-701467	-1612677
გადახდილი გადასახადი	-665505	-1491412
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)	-18793	-90345
გადახდილი პროცენტები	-585096	-374035
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	-1794660	-817377
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების დაფარვა/აღება	1646510	855295
დივიდენდის გაცემა		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	1646510	855295
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	8023	23679
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	-140127	61597
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	164811	103214
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	24684	164811

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი _____ მირიან ქოიავა

მთ. ბუღალტერი _____ სოფიკო ჩიხლაძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მოდელის სახლი მატერია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „მოდელის სახლი მატერია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს მუდმივად პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2005 წლის 01 თებერვალი კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიერ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204470027, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისის ძველი თბილისის რაიონში, ლესელიძის ქ. N 22 . კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის ძირითადი მეწილეები არიან:

მირიან ქოიავა (პ.ნ. 01024023382)-50%

გიორგი ქოიავა (პ.ნ. 01008015438)-50%

კომპანიის დირექტორია მირიან ქოიავა (პ.ნ. 01024023382)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: ტანსაცმლის კერვა, საკუთარი არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი საწარმოები, არ ჰყავს მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად, თუ კომპანია შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს, საწარმოს მიერ წარდგენილი

ფინანსური ანგარიშგება სულ მცირე უნდა მოიცავდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2019 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. ამასთან, საწარმოს შეუძლია ფულადი ნაკადების ანგარიშგების ნებაყოფლობით წარდგენა. კომპანია იყენებს აღნიშნულ შეღავათს და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად

შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც

გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივებისათვის გარდა შენობების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) შენობები შეფასებულია რეალური ღირებულებით მსს გასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, აფასების სხვაობაზე დარიცხული ცვეთა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა ნაგებობები -25 წელი;

მანქანა დანადგარები - 5 წელი;

ძალოვანი მოწყობილობები- 10 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები- 5-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-7 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზდება 10%-ით;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შპს მოდელის სახლი მატერია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

4. ფუ ლადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2019	2018
ნაღდი ფული ლარებში	19,444	27,148
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	5,240	135,549
უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკებში	-	2,114
სულ	24,684	164,811

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	473,165	512,117
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	54,134	206,370
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	83,668	540,471
წინასწარ გადახდილი გადასახადი	80,294	67,067
სულ	691,261	1,326,024

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საეჭვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია:

	2019	2018
საქონელი	55,533	62,577
ნედლეული	2,438,524	2,474,101
მზა პროდუქცია	42,234	64,239
სულ	2,536,291	2,600,917

შპს მოდელის სახლი მატერია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	529,011	2,122,530	1,670,761	195,017	27,778	58,244	4,603,342
შემოსვლა						1,612	1,612
გასვლა							-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	529,011	2,122,530	1,670,761	195,017	27,778	59,857	4,604,954
დაგროვილი ცვეთა							
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	-	(184,198)	(676,813)	(98,819)	(20,862)	(50,719)	(1,031,411)
ცვეთის ხარჯი		(84,901)	(334,152)	(31,846)	(1,596)	(14,653)	(467,148)
გასული ძირითადი საშუალებების							-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	-	(269,099)	(1,010,966)	(130,665)	(22,458)	(65,372)	(1,498,559)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	529,011	1,938,332	993,948	96,198	6,917	7,526	3,571,931
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	529,011	1,853,430	659,795	64,353	5,320	(5,515)	3,106,395

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

8. მოკლევადიანი სესხები

2019 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება:

კონტრაგენტი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
			31.12.2018	31.12.2018	01.01.2018	01.01.2018
სს პაპა ბანკი	13%	ლარი	654,053	3,827,752	582,217	3,870,783
სხვა არაფინანსური კორპორაცია		ლარი	1,188,976		194,373	
სულ			1,843,029	3,827,752	776,590	3,870,783

შპს მოდელების სახლი მატერია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

9. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	31.12.2018	01.01.2018
კრედიტორული დავალიანება	93,603	182,580
კრედიტორული დავალიანება	380,311	888,739
მიღებული ავანსები	136,587	557,004
სულ	610,500	1,628,323

31.12.2019 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები.

10. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2019 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

	2019
შემოსავალი აგილობრივი ბაზრიდან	2,209,685
სულ	2,209,685

11. კომერციული დანახარჯები

კომპანიის 2019 წლის კომერციული დანახარჯები შედგება:

	2018
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯი	25
მინოდების სხვა ხარჯი	768
სულ	794

შპს მოდელის სახლი მატერია
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

12. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2019 წლის ადმინისტრაციული დანახარტი შედგება:

	2018
შრომის ანაზღაურება	1,047,493
საიტარო ქირა	5,085
კომუნალური ხარჯი	94,579
საოფისე ხარჯი	1,082
საბანკო ხარჯი	13,075
ქონების დაზღვევა	15,798
საკონსულტაციო ხარჯები	140,494
ცვეთა და ამორტიზაცია	467,148
სხვა საერთო ადმინისტ. ხარჯი	79,907
სულ	1,864,660

13. ფინანსური შემოსავალი.

კომპანიის 2019 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება:

	2018
საპროცენტო შემოსავალი	14,174
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	20,151
სულ	34,325

14. ფინანსური დანახარჯები.

კომპანიის 2019 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:

	2018
საპროცენტო ხარჯები	648,512
სულ	648,512

შპს მოდელის სახლი მატერია
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

განხორციელებული ოპერაციები დირექტორთან და პარტნიორებთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
ხელფასი და სხვა სარგებელი	(11,070)	-
გაცემული სესხი	(28,854)	45,950
აღებული სესხი	(233,397)	-
სულ	<u>(273,321)</u>	<u>45,950</u>

განხორციელებული ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	(44,394)	(1,000)
აღებული სესხი	(203,811)	(7,500)
გაცემული სესხი	-	26,218
საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცია	1,420,780	84,545
სულ	<u>1,172,575</u>	<u>102,263</u>

აღნიშნული ოპერაციები განხორციელებულია იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარესთან.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს.